პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 125 (19567) ◆ პარასკევი, 30 მაისი, 1986 წელი ◆ ფასი 3 კაპ.

თიბათვის ყოველი საათი სათვალავშია

ერის დღეები, რომელთა თითოეული დარიანი საათის ნაყოფიერად გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერმების პროდუქციის მატებისათვის. ასეთია თიბათვის დღეები, როცა ძირითადად წყდება გამოზამთრებისათვის საკვების საიმედო მარაგის შექმნის პრობლემა.

მართალია, მაისის მეორე ნახევარში ავდარმა საკვები კულტურების თესვა და საფურაჟე საამქროს მუშაობა შეაფერხა, მაგრამ წვიმები სათიბებსა და საძოვრებს მოუხდა — ბალახი აბინძინა, რესპუბლიკის ბევრ რაიონში თიბვა გაჩაღდა.

პირველად ამინდებში საკვების სავარგულებში წარმატების მისაღწევად მიწათმოქმედებმა უნდა მოიმარჯვონ ორგანიზებულობა, ადამიანებისა და ტექნიკური რესურსების მოფიქრებული მანევრირება, მათი ეფექტიანი გამოყენება.

მეურნეობებს ახლა ერთდროულად ორი რთული ამოცანის გადაწყვეტა უწევთ — საძოვრულ პერიოდში ძირითადად მწვანე საკვების ხარჯზე პირუტყვის პროდუქტიურობა უნდა გაუმჯობესდეს და შემავალი გამოზამთრებისათვის ფერმებში საკმარისი მაღალხარისხოვანი ფურაჟი მოიმარაგონ.

თიბვის პირველი დღეები მოწმობს, რომ საქმე კარგად მიდის იქ, სადაც საკვებწარმოება საიმედო მატერიალურ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ საფუძველზე დამოუკიდებელი სპეციალიზებული დარგი გახდა, კოლექტიური იჯარის მეთოდით მომუშავე მუდმივმოქმედ რაზმებს და ბრიგადებს მიწენილი აქვთ საკვები კულტურების, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობები, ფურაჟის გადასამუშავებელი ტექნიკა და მოწყობილობა.

ამ მხრივ მისაბაძად ღირს ბაღანის ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უგანრიგო ბრიგადის (ხელმძღვანელი — ზ. შისხაშვილი) წევრები, რომლებმაც საგეგმო მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად დიდი ვალდებულებები იკისრეს. მათ დღისათვის 680 ტონა სენაჟი დაამზადეს, რაც საგეგმო დავალებაზე 250 ტონით მეტია. ბრიგადის დიდნაყოფიერი მუშაობის სტიმულია ის, რომ ყოველ ორ დღეში ხელიდან ხელში გადადის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მექანიზატორისათვის დაწესებული გარდამავალი ვიმფელი. პირველ ადგილზე გამოსული მექანიზატორი ჯილდოვდება 100 მანეთით, ხოლო ბრიგადა — ყველა სახეობის საკვების გეგმების შესრულებისათვის — 500 მანეთით.

ბოდბისხევლთა გამოცდილება მოწმობს, რომ საკვებწარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია საკვებმომპოვებელთა გადაყვანა მთლიანად შემოსავლის მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე, მშრომელი ადამიანის გააქტიურებისათვის საერთო ანგარიშზე დაფუძნებული სოციალისტური შეჯიბრების უნარიანი გამოყენება.

საკვებწარმოებაში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ მეთოდებზე დაყრდნობა დროის მოთხოვნაა, რადგან რესპუბლიკაში ხუთწლედის პირველივე წელს ხორცის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მატებისათვის საიმედო საფუძველი უნდა შეიქმნას. ამ აღმავლობის ტემპი კი ძირითადად დამოკიდებულია ზაფხულში საკვების საამქროს დიდნაყოფიერ მუშაობაზე, რადგან, როგორც ამბობენ, მეცხოველეობის საფუძველი საკვებია.

ამ საფუძვლის განმტკიცებისათვის რესპუბლიკაში წლეულს ბევრი რამ გაკეთდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მრავალწლოვანი საკვები კულტურების ფართობი უპირატესად ციღით მდიდარი პარკოსნების ხარჯზე. ახლა და შემდგომაც მეტი ყურადღება მიექცევა სორის მოყვანას როგორც სამარცვლედ, ისე უხმელ საკვებად, ვინაიდან ზოგი ფერმა პროდუქციის მატებას ფურაჟის გადახარჯვითაც ვერ ახერხებს, რადგან საკვებს ცილა აკლია. ეს ხდება იქ, სადაც ფურაჟის დამზადების ნლიური გეგმა განისაზღვრება საკვები ერთეულებით და მხედველობიდან არის გამორჩენილი მონელებადი პროტეინის შემცველობა.

„მწვანე კონვეიერის“ მუშაობის გააქტიურებას, უდავოდ, ხელს შეუწყობს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საკვებმომპოვებელი ბრიგადებისათვის ეიმფელების და ფასიანი საჩუქრების დაწესებაც.

ახლა, როცა რესპუბლიკაში მარშანდელ შესახამის პერიოდთან შედარებით გაცილებით ნაკლებია დამზადებული უხეში საკვები, სოციალისტურ შეჯიბრებას კიდევ უფრო მეტი გაჭანება უნდა მიეცეს, რათა მას საგრძნობი შედეგი რაც შეიძლება მალე მოჰყვეს. შეჯიბრების ყველა მონაწილე გულისყურით უნდა მოეკიდოს მეცნიერთა რეკომენდაციას თიბვის ვადების თაობაზე. მაგალითად, პრაქტიკა მოწმობს, რომ დაეკორების სტადიაში პარკოსნების თიბვისას უმაღლესი ხარისხის თივა მიიღება. ეს ყველა აგრონომმა და საკვებმომპოვებელმა იცის, მაგრამ ბევრგან არ ჩქარობენ, ბალახის გადამწიფებას არ ნაღვლობენ. არადა, დაგვიანებულ თიბვას 25-35 პროცენტი საუკეთო ნივთიერებების დანაკარგები მოსდევს. საკვების ყუთიანობის შენარჩუნება და ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ინტენსიური ტექნოლოგიის ფართოდ გამოყენებაზე. იგულისხმება მწვანე მასის წნეხვა, აქტიური ვენტილაციის მეთოდით თივის დამზადება, ბალახის ფხვნილის, ბრიკეტებისა და გრანულების გამოშვება. ამ პროცესს ოპერატიული ლაბორატორიული კონტროლი უნდა დაუწესდეს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ არცთუ იშვიათად ირღვევა თიბვისა და სენაჟის ჩადების ტექნოლოგია, ბევრგან კი ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა მოთიბული ბალახი მინდორში ღვარეულებად ყრია და ფუჭდება. ამიტომ საკვების აღება-დაბინავებაში აქტიურად უნდა ჩაებნენ სოფლის მთელი მოსახლეობა, სტუდენტური რაზმები, ქალაქელი შეფები, ყველა, ვისაც კი გულით აღუქვამს დევიზი „საკვებისათვის ისე ვიზრუნოთ, როგორც პურისათვის“.

მწვანე კონვეიერის მუშაობის შეფერხება ადგილობრივ პარტიულ, სამეურნეო მუშაკებს, მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს ავალებს ყველაფერი იღონონ შრომითი შეჯიბრების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და მონაწილეთათვის დიდნაყოფიერი გარჯის პირობების შესაქმნელად. საკვების დამზადების დღეებში აგრომომამრავლელო გაერთიანების სპეციალისტების ადგილი სათიბშია, ისინი აქ საკვებმომპოვებლებს უნდა დაეხმარონ ანლებურად მუშაობაში, შრომის ორგანიზაციის, ფურაჟის დამზადების პროგრესული ხერხების ათვისებაში.

საქმისადმი ამგვარი მიდგომის საჭიროებას მოწმობს თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება მეურნეობათა ტექნიკური პოტენციალი საფურაჟე კულტურების, მოყვანილი მოსავლის აღებისა და დაცვა-შენახვისათვის. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, საკვების ასაღები მანქანებისა და მექანიზმების მზადყოფნის დონე 89-91 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვენებელი დონე 89-91 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვენებელი შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ დამაკმაყოფილებელი არაფერ და არაფერ არ არის. მით უმეტეს, რომ სათიბელების 10-12 პროცენტი შესაკეთებელია გურჯაანის, დუშეთის, ასპინძისა და სხვა რაიონებში.

თითოეული მეურნეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის კონკრეტული პროგრამის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მიწათმოქმედთა პარტნიორების შეთანხმებულ მუშაობაზე, მათ შორის ფერმებისათვის სხვადასხვა მინერალური და ცილოვანი დანამატების დროულ მიწოდებაზე.

უპრიანია ამჟამადვე ვიზრუნოთ სარწყავებში საკვები კულტურების განმეორებით თესვაზე. საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის ეხოდენ მძლავრი ბერკეტი უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ. ეს უფრო მეტად ეხებათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მახარაძისა და ლაგოდეხის რაიონების მეურნეობებს, რომლებმაც ბალახების თესვა დააყოვნეს.

თიბვის საბოლოო შედეგი გამოჩნდება არა მარტო ფერმებთან დაზეინული თივით და საცავებში შენახული საკვების მარაგით, არამედ ხორცის, რძის და კვერცხის წარმოების მატებით. ეს კი საკვებდამამზადებელთა გარჯის ყველაზე ობიექტური და მაღალი შეფასება იქნება სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული მაღალი მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ჭირვეულმა და მერყეევმა გაზაფხულმა თავისი დაღი დაასვა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მიმდინარეობას. კერძოდ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 20 მაისისათვის, მთლიანად რესპუბლიკაში, როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საგაზაფხულო კულტურები დათესილია 332 500 ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 394 100 ჰექტარის ნაცვლად, რაც შარშანდელ მაჩვენებელზე ნაკლებია.

შარშანდელ ტემპს ჩამორჩება მარცვლეული და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების თესვა (სიმინდის გარდა). განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საქმის ვითარება სიმინდისა და სოიის მინდვრებში, სადაც სამუშაოთა გეგმა შესრულებულია შესაბამისად 81 და 54 პროცენტით.

ხანგრძლივმა წვიმებმა, სეტყვამ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გავლენა მოახდინა პრაქტიკულად ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვის მიმდინარეობაზე. ამავე დროს, როგორც ანალიზმა ცხადყო, ჩამორჩენა არც ისეთი მნიშვნელოვანი იქნებოდა, მეურნეობების, რაონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებს სწორად რომ შეეფასებინათ შექმნილი სიტუაცია, უნარიანად აემოქმედებინათ ტექნიკური რესურსები, დაერაზმათ ადამიანები, უკეთ გამოეყენებინათ ყოველი დარიანი დღე და საათი.

ყურადღება ინდუსტრიულ ტექნოლოგიას

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

მეურნეობებში არის რესურსების რაციონალური და უფრო ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობანი. ავიღოთ თუნდაც მუშაობა სიმინდის ყანებში. წარმატება თან სდევს იმათ, ვინც იყენებს სიმინდის მოვლა-მოყვანის ინდუსტრიულ მეთოდს. ეს ეხება უწინარეს ყოვლისა ზუგდიდის რაიონს. აქ ათასობით ჰექტარ ფართობზე მთლიანად დათესეს მარცვალი ინტენსიური ტექნოლოგიით. ამავე დროს ხობის რაიონში იგი გამოიყენეს მხოლოდ 390 ჰექტარზე, გეგმით კი გათვალისწინებული იყო ორი ათასი ჰექტარი. ნელა ინერგება ეს წამოწყება მანარაძის, წალენჯიხის, გორდაბნის, ქარელის, ჩოხატაურის და სხვა რაიონების მეურნეობებში. და ეს, უწინარეს ყოვლისა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელების ბრალია, რომლებმაც ვერ შექმნეს შესაბამისი პირობები პროგრესული მეთოდის გავრცელებისათვის.

რესპუბლიკის ორმოცდაათი რაიონიდან და ქალაქების ოთხი ზონიდან საგაზაფხულო კულტურების თესვას თავი გაართვეს მხოლოდ ქალაქ ჭიათურის ზონის, ახმეტის, ყვარლის, მაიაკოვსკის, სიღნაღის და წითელწყაროს რაიონების მეურნეობებმა.

დღის ამოცანაა ავანაზღაუროთ დანაკლისი, რაც შეიძლება სწრაფად გარდაქმნათ მუშაობა დროის მოთხოვნათა შესაბამისად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგაზაფხულო თესვის დაყოვნებას მოსავლის დიდი დანაკარგები მოჰყვება. (საქინფორმი).

თბილისელებს მოკლე ხანში კიდევ ერთი 16-სართულიანი 90-ბინიანი სახლი შეემატება. მას აშენებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 3 სახლთაშენებელი კომბინატის კოლექტივის ჯგუფი. მშენებლებმა გადაწყვიტეს ვადამდე — 7 ნოემბრისათვის გადასცენ სახლი საექსპლოატაციოდ. კარგი იქნება, თუ კორპუსის მცხოვრებლები მთელი გულით გაიხარებენ და დაულოცავენ მარკვენას მშენებლებს. საამისოდ საჭიროა მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, საქმის სიყვარული, სხვისადმი პატივისცემა.

სურათებზე: მიმდინარეობს მშენებლობა; (მარცხნიდან) მოწინავე მშენებლები — ელექტროშემდუღებელი, კომუნისტი ვლადიმერ ტარიელაშვილი, მემონტაჟე, კომკავშირელი ნოდარ რაზმაძე, მემონტაჟეთა ბრიგადირი, კომუნისტი კარლო გეწაძე.

ა. სააკოვის ფოტო.

ოთხ დღეს უსასყიდლოდ

ილვნიან ერთობლივი საკუთარი ბიბლიოთეკა

ქ. ახმეტის ძალოვნების მაისის რაიკომმა საფუძვლიანად გააანალიზა ვოლგის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ინიციატივა „წელიწადში ოთხ არასამუშაო დღეს უსასყიდლოდ იშრომონ კულტსაყოფაცხოვრებო სამშენებლო ობიექტებზე“. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა, სხვა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, რომლითაც მომავალში იხელმძღვანელებენ.

ვოლგელთა თაოსნობას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა თბილისის 50 წლისთავის სახელობის გაერთიანების კოლექტივი. პარტიულმა კომიტეტმა გააცნო კოლექტივს ინიციატივის ძირითადი მიზანი, რომლის შემდეგ საწარმოს მშრომელებმა გამოთქვეს სურვილი ვოლგელთა ინიციატივის მხარდამხარ უსასყიდლოდ იშრომონ ოთხ არასამუშაო დღეს.

გაერთიანებას ცხვარიჭამიაში აქვს პიონერთა ბანაკი, რომელიც საჭიროებს კეთილმოწყობას, სათავსების დამატებას. ამიტომ ერთ დღეს მშრომელები ამ სამუშაოებით იქნებიან დასაქმებულნი. გაერთიანების მიკრორაიონში კოლექტივის მუშა-მოსამსახურეებისათვის იგება საცხოვრებელი სახლი, მისი მშენებლობა შარშან დაიწყეს და ახლა მთელი კოლექტივი მზად არის თავდადებით იშრომოს სახლის დროული დამთავრებისათვის.

გაერთიანებას კიკეთშიც მშვენიერი დასასვენებელი ზონა აქვს. ხის ოტეჯები რომ უფრო ლამაზად გამოიყურებოდეს, საჭიროა მათი შეკეთება, ტერიტორიის გამწვანება, შემოღობვა, სახლების შეღებვა. ერთ დღესაც აქ იმუშავებენ ასურები.

(„კომუნისტის“ კორ.).



მარჯვენა — რომ დაგბილოდეს...

სუსხიანი სტრიქონები

უპატრონო ნარჩენები

ყოველ ოჯახში თვეში საშუალოდ 30 კილოგრამამდე პერის ნატეხები, კარტოფილის ნაფცქვენები, ბოსტნეულისა და მწვანილის ნარჩენები გროვდება. მარტო თბილისში ეს მაჩვენებელი ასობით ტონას შეადგენს. ამ საკვებით შეგვიძლია უზრუნველვყოთ არა მარტო კრწანისის მეღორეობის კომპლექსი, არამედ რესპუბლიკის ამავე პროფილის მრავალი მეურნეობაც.

მაგრამ მოსახლეობისაგან ოცდაათიდან ექვსიოდე კილოგრამამდე ნარჩენები თუ გროვდება, თანაც მოგროვებულიც მთლიანად როდი გამოიყენება დანიშნულებისამებრ. ეშირად ვნახავთ სპეცავტომეურნეობის მანქანებზე აკურატულად დაწყობილ პურით სავსე პაკეტებს. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ სად მიდის ეს პური — მისი ბოლო სანაგვეა. აქ კი მარიფათიანი ხალხი პირუტყვისათვის საკვების ძებნაზე დროს აღარ ხარჯავს და ნარჩენებს ხელსაყრელ ფასებში იძენს.

კრწანისის კომპლექსი კი საჭირო 35 ტონის ნაცვლად ყოველდღე მხოლოდ 20 ტონა ნარჩენებს იღებს. საბინაო-საექსპლოატაციო უბნებს, რომლებმაც კორპუსებში ვედრობები დადგეს საკვების ნარჩენების შესაგროვებლად, ხშირად ავიწყდებათ მათი არსებობა. სწორედ ამიტომ ეს ოპერაცია წარუმატებლად დამთავრდა. თბილისელებს არ სურთ, რომ ყოველდღიკების მოედნებზე უყურონ საკვების დამპალ ნარჩენებს. ვედროების შეძენისათვის დახარჯული 60 ათასი მანეთი, ხატოვნად რომ ვთქვათ, შარშან ნარჩენებთან ერთად ბუნკერებში გადაიყარა.

თბილისის საბინაო-საექსპლოატაციო უბნები საშუალოდ მხოლოდ 70 პროცენტით ასრულებენ ნარჩენების შეგროვების გეგმას. მცხოვრებთა გამოკითხვამ არცთუ ისე სახარბიელო სურათი დაგვიხატა: მათი უმრავლესობა საერთოდ თავს არიდებს ამ სასარგებლო საქმეს.

ყურადსაღები ფაქტია, — თქვა ლენინის რაიონის № 3 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსმა რუსუდან კლდიაშვილმა. — ჩვენთან საქმე თითქოს ცუდად არ არის, მაგრამ ამისათვის ძალების დიდი დაძაბვა გვიხდება. დამლაგებლების გარდა, ნარჩენების შეგროვებაში ჩავაბით მეეზოვეები, ლიფტიორები, სანტექნიკოსები. ეს მძიმე ფიზიკური სამუშაოა, წანალისება კი ძალზე მცირეა — თითოეულ ტონა შეგროვილ ნარჩენზე — 14 მანეთი...

— არადა, საკვები ნარჩენები ძალზე გვჭირდება, — გვითხრა კრწანისის მეღორეობის კომპლექსის დირექტორმა ტრისტან ჭრელაშვილმა. — ერთი წლის შემდეგ გასასუქებლად გვეყოლება 12 ათასი ღორი. მათთვის დღეში 90 ტონა ნარჩენები დაგვჭირდება. უზრუნველყოფს კი ქალაქი ამდენი ნარჩენების შეგროვებას? დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ვერა!

არ გამოდგა „ვედროების“ სისტემა. რეალური არ არის კიბის ყველა ყურის უზრუნველყოფა ჭურჭლით. მათ დასაცლელად და ნარჩენების შესაგროვებლად დაგვჭირდება მომსახურე პერსონალის დიდი შტატი. ისინი არა ჰყავთ საბინაო-საექსპლოატაციო უბნებს. გამოსავალს ვიპოვიდით, თუ ამ საქმეში ჩავაბამდით ქალაქის სანიტარიული დასუფთავების ორგანიზაციებს. ამ აზრს იზიარებს თითქმის ყველა უბნის უფროსი. ყოველდღე დილადანვე სპეცავტომეურნეობათა ასობით მანქანა დაქრის ქალაქში. რატომ არ უნდა დავავალოთ მათ საკვები ნარჩენების შეგროვება? ასეთი პრაქტიკა უკვე არსებობს ქვეყნის ზოგიერთ ქალაქში და სასურველია იგი ჩვენთანაც დავნერგოთ.

ლ. ტრუდკოვა,
საქინფორმის კორ.

საქართველოს მდელოების ახალმოსახლე

რესპუბლიკის საკვები ბალახების ასორტიმენტი შეიგსო კიდევ ერთი ახალი უხვმოსავლიანი კულტურით — სილფიით. საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტთა რეკომენდაციით იგი შეტანილია დმანისის, აბაშისა და გარდაბნის რაიონების მთელი რიგი მეურნეობების თესლბრუნვაში.

ამერიკაში გავრცელებული ეს მრავალწლოვანი მზის მოყვარული მცენარე ჩვენში შუა აზიის რესპუბლიკებიდან შემოვიდა და ადგილობრივ პირობებს კარგად შეეგუა. მას არ უშინია ყინვისა და გვალვისა.

პირველ წელს ბალახს არ თიბავენ, შემდეგ წელს ჰექტარზე ორგზის თიბვის შემდეგ იღებენ 100-120 ტონა მწვანე მასას, რაც სასილოსე სიმინდთან შედარებით ოთხჯერ მეტია.

სილფია მდიდარია ვიტამინებით, ძვირფასი საკვები ნივთიერებებით, იყენებენ მწვანე საკვებად, სილოსად, ბალახის ფხვნილის დასამზადებლად. ამ კულტურის ღირსება ისიც არის, რომ მოსავალს 12-14 წლის მანძილზე იძლევა.

სილფიის თესლს აწარმოებენ ინსტიტუტს დაქვემდებარებულ ოთხ ექსპერიმენტულ მეურნეობაში. ამას გარდა, ეს კულტურა მრავლდება ბუჩქების გაყოფისა და გადარგვის გზით, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს მის მოყვანას. სილფიის ნათესებს რესპუბლიკაში უკავია თორმეტი ჰექტარი, მაგრამ მომავალში იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საკვების წარმოების გადიდებაში.

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვისა და ა. ჰ. ჰადამის შეხვედრისას.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ა. ჰ. ჰადამს

28 მაისს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. ჰ. ჰადამი.

გამოთქვა კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გამო, რომლის მტკიცე ბაზაა ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის საერთაშორისო-პოლიტიკური ინტერესების სიახლოვე, ურთიერთგაგება და ნდობა, რომლებმაც სიმტკიცის ზემოწმება განვლეს ახლო აღმოსავლეთის რთული მოვლენების დროს. ამ რაიონში სიტუაციის ახალი. გამწვავება სულ უფრო ენერგიულ და ობერატიულ კონტაქტებს მოითხოვს.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, თუ რა პრინციპულ და მტკიცე გეზს ადგას სირიის ხელმძღვანელობა, რომელიც გამორიცხავს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტას ამერიკა-ისრაელის სცენარით არაბი ხალხების ძირეული ინტერესებისა და დამოუკიდებლობის საზიანოდ. მან დაადასტურა საბჭოთა კავშირის სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა სირიისა და სხვა პროგრესული ძალების მეცადინეობისადმი ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთის ვითარების სამართლიანი მოწესრიგებისათვის, რომლის განუყოფელი ნაწილია პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ლიბიის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის გაკვეთილების მიხედვით დაწერილებით განიხილეს არაბთა სახელმწიფოების სოლიდარობისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთიანობის, დასავლეთთან ურთიერთობის პრობლემები, აგრეთვე ირან-ერაყის ომის ნეგატიური შედეგები.

„ნეოგლობალიზმის“ დოქტრინა და სახელმწიფო ტერორიზმი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს, შეაფასეს თანამედროვე მსოფლიო განვითარების ფართო კონტექსტით როგორც რეაქციული გეზი, რომლის მიზანია შეაჩეროს, დათრგუნოს განმთავისუფლებელი პროცესები, ჩაფუშოს დასახული პოზიციური ტენდენციები საერთაშორისო ურთიერთობაში. ამ ავანტიურისტულ იმპერიულ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს მეტად საშიში შედეგები სახელმწიფოთა და ხალხთა მსოფლიო საერთიანებისათვის და მას ყველაზე მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს.

შეხვედრაზე მთავარი ყურადღება დაეთმო სიტუაციას, რომელიც ახლა იქმნება სირიის გარშემო. მ. ს. გორბაჩოვმა და ა. ჰ. ჰადამმა დაადასტურეს, რომ მათი ქვეყნები ისწრაფვიან ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი გადაწყვიტონ პოლიტიკური საშუალებებით. იმის გამო, რომ ამერიკის იმპერიალიზმი და ისრაელი სულ უფრო ემუქრებიან სირიას, პოლიტიკურ საკითხებთან ერთად განიხილეს კონკრეტული საკითხები, რომ უფრო მეტად შეუწყონ ხელი მას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში სსრ კავშირსა და სირიის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად. ამ საკითხების განხილვაში — იმის გათვალისწინებით, რაც გამოვლინდა ლიბიაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, — მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი და სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ჰ. შეკაბი.

მ. ს. გორბაჩოვმა მეგობრული სალამი შეუთვალა პრეზიდენტ ჰ. ასადს, სირიელ ხალხს უსურვა წარმატება აქტიურ და ვეკაკაცურ ბრძოლაში თავისი ქვეყნისა და მთელი არაბული სამყაროს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

ვიზიტი გრძელდება

28 მაისს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ა. ჰ. ჰადამი.

გამოთქვა კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გამო.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, თუ რა პრინციპულ და მტკიცე გეზს ადგას სირიის ხელმძღვანელობა, რომელიც გამორიცხავს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტას ამერიკა-ისრაელის სცენარით არაბი ხალხების ძირეული ინტერესებისა და დამოუკიდებლობის საზიანოდ. მან დაადასტურა საბჭოთა კავშირის სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა სირიისა და სხვა პროგრესული ძალების მეცადინეობისადმი ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთის ვითარების სამართლიანი მოწესრიგებისათვის, რომლის განუყოფელი ნაწილია პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის, მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

შეხვედრაზე მთავარი ყურადღება დაეთმო სიტუაციას, რომელიც ამ მომენტში იქმნება სირიის გარშემო, მ. ს. გორბაჩოვმა და ა. ჰ. ჰადამმა დაადასტურეს, რომ მათი ქვეყნები ესწრაფვიან ყველა სადავო საერთაშორისო საკითხი გადაწყვიტონ პოლიტიკური საშუალებებით.

* * *

28 მაისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოსა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრის, სირიის არაბთა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ა. ჰ. ჰადამის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი.

მსოფლიოში შექმნილი ვითარების განხილვის დროს მხარეებმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს მისი მკვეთრი გამწვავების გამო, რომელიც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეების უპასუხისმგებლო კურსმა.

ნოლაპარაკების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში. საერთო თვალსაზრისი იმით გამოიხატა, რომ აქ გამწვავებული ვითარებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს, ეს სახელმწიფოები ცდილობენ არაბებს თავს მოახვიონ თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური დიქტატი, ჩაითრიონ ისინი დამამცირებელ სეპარატულ გარიგებებში, შეაფერხონ არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის სამართლიანი ნოწესრიგების მიღწევა.

განიხილა რა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები, ორივე მხარემ ღრმა კმაყოფილება გამოთქვა მისი განუხრელი განვითარების გამო და დაადასტურა, რომ ესწრაფვიან კვლავაც განამტკიცონ ორი ქვეყნის მრავალმხრივი ურთიერთობა.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სადილი გაუმართა ა. ჰ. ჰადამს.

სადილის დროს, რომელმაც ამხანაგური გულახდილობის ატმოსფეროში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და ა. ჰ. ჰადამმა სიტყვები წარმოთქვეს.

(საკდესი).

„სოიუზ ტმ“ ხომალდი ავტონომიურად მიფრინავს

ფრენის მართვის ცენტრი. 29 მაისი. (საკდესი). დღეს მოსკოვის დროით 13 საათსა და 23 წუთზე ერთობლივი ფრენის პროგრამის დამთავრების შემდეგ „სოიუზ ტმ“ სატრანსპორტო ხომალდი გამოეყო „მირ“ — „პროგრეს-26“ ორბიტულ კომპლექსს.

ექვსი დღე-ღამის ფრენის დროს ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში მოეწყო გაუმჯობესებული კოსმოსური ხომალდის ახალი სამორტო სისტემების, კონსტრუქციის ავრეგატებისა და ელემენტების დახვეწა. ხომალდის კომბინირებული ძრავის მეშვეობით შესრულდა კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

ფრენის პროგრამის შესაბამისად „სოიუზ ტმ“ ხომალდის დაშვება დაგეგმილია 30 მაისისათვის.

„მირ“ — „პროგრეს-26“ ორბიტული კომპლექსი განაგრძობს ფრენას ავტომატური რეჟიმით. ახლა მისი ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 353 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 335 კილომეტრი; — გარშემოვლის პერიოდი — 9,2 წუთი; — დახრილობა — 51,6 გრადუსი.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „მირ“ — „პროგრეს-26“ კომპლექსისა და „სოიუზ ტმ“ ხომალდის სამორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგურ ატმოსფეროში

28 მაისს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვისა და ლიბიის არაბთა სოციალისტური სახალხო ჯამაჰირიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წევრის ა. ს. ჯელუდის მოლაპარაკება.

საერთაშორისო ვითარების საკვანძო პრობლემებზე აზრთა გაზიარების დროს გამოთქვა ღრმა შეშფოთება იმის გამო, რომ კვლავ არის კრიზისული სიტუაციები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, რომლებსაც იმპერიალისტური წრეები იყენებენ საერთაშორისო დაძაბულობის ესკალაციისა და სუვერენულ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისათვის. ა. ს. ჯელუდმა განაც

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ოჯახის განმტკიცებისა და შვილების აღზრდისათვის მისი ჯანსაღი ცხოვრების გადიდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად ლატვიის სს რესპუბლიკაში მიმდინარე მუშაობის შესახებ

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 23 მაისის სხდომაზე განიხილა იმ მუშაობის საკითხი, რომელიც ნიმდინარეობს ლატვიის სს რესპუბლიკაში ოჯახის განმტკიცებისა და შვილების აღზრდისათვის მისი ჯანსაღი ცხოვრების გადიდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლატვიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სხვა სახელმწიფო ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რამდენადმე განაკეთეს მუშაობა ოჯახის განსამტკიცებლად და შვილების აღზრდისათვის ნიცი ჯანსაღი ცხოვრების გასაძლიერებლად.

შვილიანი ოჯახებისადმი დახმარების საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების რეალიზაციის დროს ადგილობრივი შესაძლებლობების გამოყენებით გაუმჯობესდა ბევრი ოჯახის ცხოვრებისა და ყოფის პირობები, მათი სამედიცინო, სავაჭრო და სხვა მომსახურება, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული ქალების მნიშვნელოვანი ნაწილის შრომის პირობები. ამის შედეგად ბოლო წლებში რესპუბლიკაში დაინახა შობადობის ზრდის ტენდენცია, გაუმჯობესდა სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ზოგიერთი სხვა მაჩვენებელი.

ანავე დროს მუშაობა, რომელსაც ლატვიის სს რესპუბლიკაში ეწევიან ოჯახის განმტკიცებისა და შვილების აღზრდისათვის მისი ჯანსაღი ცხოვრების გადიდების შესახებ კანონმდებლობის დასაცავად, ჯერ კიდევ არ შეესაბამება XXVII ყრილობის მოთხოვნებს. ბევრი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოსათვის, შრომითი კოლექტივისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ზრუნვა ოჯახის ყოველმხრივი განმტკიცებისა და სოციალური ფუნქციების შესრულებაში მისთვის დახმარების გაწევისათვის ჯერ კიდევ არ გადაქცეულა უპირველეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ. შემდგომ სრულყოფას საჭიროებს მუშაობა იმისათვის, რომ ქალებს შევუქმნათ შესაძლებლობა შეუხამონ დედობა შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. საკმარისად არ გამოიყენება ქალთა შრომითი დასაქმების შეღავათიანი რეჟიმები.

ქალაქებში ელვავასა და იურმალაში, კულდიგისა და ზოგიერთ სხვა რაიონში ნელა წყვეტენ სამშობიარო და სბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს. ბევრ ოჯახს უჭირს შვილების მოწყობა საკოლამდელ დაწესებულებებში, რესპუბლიკაში კი სისტემატურად ვერ სრულდება სბავშვო ბაღებისა და ბაგების საეკსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ახალგაზრდა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებას. შემდგომ სრულყოფას საჭიროებს შვილიანი ოჯახების საკვაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოთხოვნა ბავშვთა ქვების პროდუქტებზე, ცალკეული სახეობათა შეკერილ ტანსაცმელზე, ტრიკოტაჟის საცვლებსა და ფეხსაცმელზე.

მნიშვნელოვან გაძლიერებას საჭიროებს მუშაობა კომუნისტური მორალის ნორმებისა და პრინციპების, ჯანსაღი ზნეობრივი კლიმატის ყველან დამკვიდრებისათვის. ამ მუშაობას აკლია კონკრეტულობა, ინდივიდუალური მიმართულება, უზრუნველყოფილი არ არის წარმოებაში, სასწავლებლებში და საცხოვრებელ ადგილებში აღმზრდელობითი პროცესის ერთიანობა. ეგრეთწოდებულ „ძნელ“ მოზარდებთან მუშაობაში ხშირად გვხვდება შაბლონი და ფორმალიზმი. ჯერ კიდევ დიდია არეული ოჯახების რიცხვი, რომლებშიც შესუსტებულია ბავშვებზე აღმზრდელობითი ზემოქმედება.

ზოგიერთ შრომითს კოლექტივში, მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „რიგას მანუფაქტურაში“, ლიეპაის საგალანტერეო კომბინატ „ლაუმასა“ და სხვებში სუსტად იყენებენ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას ოჯახის განმტკიცებისა და ბავშვების აღზრდის გაუმჯობესებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაში მონაწილეობის შესახებ. საკლტო, სპორტულ მუშაობაში, ზაფხულის დასვენების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ ნაკლებად ითვალისწინებენ ოჯახის ინტერესებს, მისი განმტკიცების საჭიროებას. არსებით გაუმჯობესებას საჭიროებს ოჯახის შექმნისთვის ქალშვილებისა და ჰაბუკების ზნეობრივი მომზადება. სასწავლებლებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჯეროვანი წვლილი არ შეაქვთ ახალგაზრდობისათვის ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის ჩანერგვაში. პრესა, ტელევიზია, რადიო ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სულიერად და ზნეობრივად ჯანსაღი ოჯახის პროპაგანდას.

დაბალია საქორწინო-ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სახალხო სასამართლოების აღმზრდელობითი-პროფილაქტიკური მუშაობის დონე. ისინი ხშირად გაუმართლებლად ჩქარობენ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაკლოვანებანი ოჯახის განმტკიცებისა და შვილების აღზრდისათვის ეზობელთა პასუხისმგებლობის გადიდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაში, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილებაში.

გააძლიერონ მუშაობა, რომელის მიზანია ოჯახის განმტკიცება, სოციალური ფუნქციების შესრულებაში მისთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა, ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, უზრუნველყონ სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების უფრო მეტი ერთიანი ერთმოქმედება ამ საქმეში;

იღვაწონ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდა ოჯახებისათვის ყოფაპერაციული საცხოვრებელი სახლების, დაოჯახებული სტუდენტი ახალგაზრდობისათვის საერთო საცხოვრებლების, ახალგაზრდული საბინაო კომპლექსების მშენებლობის გაფართოებისათვის, ახალგაზრდა შვილიანი ოჯახებისადმი მატერიალური დახმარების გასაწევად წამახალისებელი ფონდების შესაქმნელად, კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად მათთვის უპროცენტო სესხების მიცემის პრაქტიკის გასაფართოებლად;

შეიმუშაონ და განახორციელონ დაბალბითი ღონისძიებანი მიმდინარე ხუთწლედში საბავშვო საკოლამდელ დაწესებულებებზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების მიზნით, უზრუნველყონ სამშობიარო და საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების საეკსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების ადრე, ადრე მართლზომიერად ჩქარობენ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ასევე ურჩია ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა ამოთხვრან ნაკლოვანებანი ოჯახის განმტკიცებისა და შვილების აღზრდისათვის ეზობელთა პასუხისმგებლობის გადიდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნილებანი სახალხო მოხელეთა საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს განვითარების დროს, ამასთან გაითვალისწინონ სბავშვო საქონლის წარმოების გაფართოება, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა არ დაუშვან ბავშვებისათვის იაფი და ხარისხიანი საქონლის გამოშვების შემცირება.

ხელი შეუწყონ ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე, ოჯახის განმტკიცებაში ყოფა-ცხოვრების მოგვარებასა და შვილების აღზრდაში მოქალაქეებისათვის ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვაგვარი დახმარების გაწევის ორგანიზაციას.

ლატვიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ქალთა საბჭოებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წინადადება მიეცეთ:

გაზარდონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შეუქმნან ქალებს ხელსაყრელი პირობები შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასთან დედობის შეხამებისათვის, არასრული სამუშაო დღის რეჟიმებით, ცვალებადი გრაფიკით, აგრეთვე შინ მუშაობისათვის. განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა განავითარონ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობის ნომსახურების ობიექტების, ქსელი წარმოებაში, განსაკუთრებით საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც უპირატესად ქალები არიან დასაქმებული, უფრო ფართოდ დანერგონ ოჯახური შრომის შემსუბუქებელი მომსახურების სახეობანი;

გააქტიურონ შრომითი კოლექტივების მონაწილეობა ინსპექტირებების შექმნაში, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახის განმტკიცებას და ბავშვების აღზრდის გაუმჯობესებას, ამ პირებისადმი მომთხოვნელობის გადიდებასა, რომლებიც არ ასრულებენ მშობლების მოვალეობებს;

უზრუნველყონ კულტურისა და სპორტის დაწესებულებათა ბაზის ეფექტიანობის გადიდება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება, ხელი შეუწყონ თვითმოქმედი ოჯახური კლუბების, სახელოსნოების, მოყვარულთა გაერთიანებების ორგანიზაციას, ამ მიზნებისათვის სათავსების გამოყოფას და საჭირო მოწყობილობით მათს აღჭურვას, ამ მუშაობის ორგანიზატორთა კადრებით დაკომპლექტებას, ყოველ მხრივ განავითარონ და მხარი დაუჭირონ მოსახლეობის ინიციატივასა და თვითმოქმედებას საცხოვრებელ ადგილას სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობაში;

გააქტიურონ მუშაობა ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების დანერგვისათვის, საზოგადოებრივი დღესასწაულების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოწყობისათვის, ოჯახების ერთობლივი დასვენების ორგანიზაციისათვის, შრომითი დისციპლინა, ადმინისტრაციული და უფროსი თანამდებობის პატივისცემისა და ახალგაზრდობის აღზრდისათვის;

გააძლიერონ მუშაობა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის, არეული ოჯახების გამოვლენისათვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გადიდებისათვის, სამართალდაცვითი ორგანოების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, არასრულწლოვანთა საქმეების, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას მიეთითა, რომ უფრო თანმიმდევრულად განახორციელონ ჩაკლული რეფორმით გათვალისწინებული ამოცანები მოზარდ თაობაზე აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების, ამ მიზნით ოჯახთან სკოლის უერთიერთობის განმტკიცების, მშობელთა კომიტეტების, მშობელთა პედაგოგიური საყოველთაო სწავლების სისტემის ეფექტიანობის გადიდების დარგში. სრულყონ სამართლებრივი ცოდნის, ოჯახური ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიური საფუძვლების სწავლების ხარისხი.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაძლიერონ საქორწინო-ოჯახურ ურთიერთობათასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას სახალხო სასამართლოების აღმზრდელობითი-პროფილაქტიკური მუშაობა, სასამართლოებმა თავიდან აიცილონ მოუფიქრებელი განქორწინება, უფრო აქტიურად გამოიყენონ მეუღლეთა შერიგებისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საკავშირო პროფსაბჭოს რეკომენდაცია ნიეცა:

გააქტიუროს კონტროლი და გაზარდოს პროფკავშირული ორგანიზაციების ჭობთხოვნელობა სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი იმისათვის, რომ იცავდნენ კანონმდებლობას ქალთა შრომის დაცვის შესახებ, თანამიდევრულად ახორციელებენ ღონისძიებებს ძმამე ფიზიკური სამუშაოდან, შრომის მავნე პირობების მქონე სამუშაოდან და ადამიანის ცვლებიდან მათი ინტერესებისათვის, ანაჩვენებენ მათ შეღავათებსა და უპრარატესობებს დედის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ახორციელებენ ალკოჰოლიზმისა და ალკოჰოლიზმისათვის გათვალისწინებულ შეღავათებს.

ალსანიშნავია, რომ ბოლო ორმეძის, პასპორტიზაციის, ფასსანაღაზეველი სახლების, სხვა გამოჯანსაღებელი დაწესებულებების გამოყენებისა და ახალი ასეთი დაწესებულებების ნშენებლობის დროს უფრო თანამიმდევრულად განახორციელონ სოოჯახო დასვენების ბაზის გაფართოება-განმტკიცების, ოჯახის შეკავშირების ხელშემწყობი პირობების შექმნის გზა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას რეკომენდაცია მიეცა გაძლიეროს ყურადღება დემოგრაფიული პროცესების, ოჯახის პრობლემების, ოჯახური ურთიერთობის მეცნიერული კვლევისადმი, გააქტიუროს ოჯახის განმტკიცებისა და მისი სოციალური აქტიურობის გადიდებისათვის გაწეწნული სოციალური პოლიტიკის სამეცნიერო და ორგანიზაციული პრინციპების შემუშავება.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უნდა ამაღლდეს ოჯახის განმტკიცებისა და მისთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად სახელმწიფო მართვის შესაბამისი ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის დონე, გაძლიერდეს მათი ურთიერთთმოქმედება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალა განიხილოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების მიერ წამოყენებული საკითხები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი.

პლანტაციებიდან — მინიფაბრიკაში

ხელვაჩაურის **რაიონის** **სოფელ** **მახოში** **მეჩაიეთა** **შეკიბრებას** **სათავეში** **ჩაუდგა** **მეოთხე** **ბრიგადა,** **რომელშიც** **გამოირჩევიან** **დები** **ნინო** **და** **ნუნუ** **დიმიტრაძეები.** **ისინი** **ხარისხოვან** **ნედლეულს** **კოლმეურნეობის** **მინიფაბრიკაში** **აგზავნიან.**



სურათებზე: **პირველხარისხოვან** **ნედლეულს** **კრეფენ** **ახალგაზრდა** **მეჩაიეები** — **დები** **ნინო** **და** **ნუნუ** **დიმიტრაძეები;** **ხელვაჩაურის** **რაიონის** **სოფელ** **მახოს** **კოლმეურნეობის** **მინიფაბრიკის** **როლერის** **საამქროში.**

(საქინფორმის **ფოტოქრონიკა).**

ქვაკუთხედი — აგრომრეწვი

მთავარია მომჭირნეობა, სახსრების გონივრული ხარჯვა

მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდების ამოცანები

პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკის მთავარი მიზანია უმოკლეს ვადაში გადავწყვიტოთ სურსათით ქვეყნის სრული უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია მყარი ეკონომიკური საფუძვლების გარეშე.

პარტიის XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიანი ორგანოს შექმნა განმტკიცებული უნდა იქნეს ქმედითი სამეურნეო მექანიზმით. „მთავარი ყურადღება ეთმობა მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოებასა და თავიანთი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის მარტში მიღებულ კიდევ დადგენილება „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

დადგენილების ძირითადი ლაიტმოტივი ის არის, რომ ფართო ასპარეზი მიეცეს საზოგადოებრივ მეურნეობათა გაძლიერს ეკონომიკურ მეთოდებს, გაიზარდოს მათი დაინტერესება და პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის.

დადგენილება უდიდეს ღონისძიებებს სახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და სტიმულირების სრულყოფისათვის. ფართოვდება სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფლებები, ძლიერდება შრომითი კოლექტივებისა და მართვის ყველა რგოლის დაინტერესება და პასუხისმგებლობა წარმოების ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართოდ გამოყენებისა და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

1987 წლიდან დაწყებული, მოკავშირე რესპუბლიკებს არ დაეგზავნებათ პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. მათ დაუწესდებათ ხუთწლედის წლების მიხედვით საერთო-საკავშირო ფონდებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების გეგმები ან ფონდებიდან დოტაცია. სამაგიეროდ რაიონებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებს დაეგზავნებათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის მტკიცე გეგმები.

1986-1990 წლებში შესყიდვის ფასებზე 50-პროცენტიანი ფასდანამატი კვლავ გაეცემათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სახელმწიფოსათვის მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიური მოცულობის გადამეტებით მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის.

ამავე წლებში გაგრძელდება უარეს ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მომუშავე მცირერენტაბელური და ზარალიანი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქტების შესყიდვის ფასების დანამატების გადახდა.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა ერთი ნაწილი ეფექტიანად არ იყენებს სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებას და ვერ აღწევს ეკონომიკის განმტკიცებას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თინეთის, ყალაის, საგარეჯოს, ამბროლაურის და სხვა რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში უყაირათო მუშაობის შედეგად სოფლის მეურნეობია ყველა ძირითადი პროდუქტის წარმოება ზარალიანია.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფაქტობრივად არ იზრდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, პირიქით, მეათე ხუთწლედთან შედარებით იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ოლქის კოლმეურნეობებში 1985 წელს წარმოებული იყო 438 ტონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცი (1983 წელს კი 488 ტონა აწარმოეს), ხილის წარმოება 3.739 ტონიდან შემცირდა 2.943 ტონამდე, ხოლო ჩაქრის ჭარხალი — 6.178 ტონიდან 3.810 ტონამდე.

გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 1 ტონა წონამატების თვითღირებულება 914,1 მანეთით და შეადგინა 5628,7 მანეთი. უფრო მეტიც, ცხენვალის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში 1 ტონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატების თვითღირებულებამ მიაღწია 8468,1 მანეთს, ხოლო ზნაურის რაიონში — 7193,9 მანეთს.

მცირეა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. 1 საფურაჟე ძროხაზე საგეგმო 1259 კილოგრამის ნაცვლად მიღებულია 1172 კილოგრამი რძე. 1 ცხვარზე 2,5 კილოგრამის ნაცვლად აწარმოეს 1,8 კილოგრამი მატყლი; 100 დედა პირუტყვზე მიღებულია: 64 ხბო, და 704 გოჟი, სახელმწიფოსათვის მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა არ აღემატება 209 კილოგრამს, რაც 23 პროცენტით ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურ მონაცემებზე

ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ მეურნეობებში ზარშან იძულებით დაიკლა 1.201 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 1151 სული ღორი და 12.521 სული ცხვარი და თხა. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად აღემატება ანალოგიურ რესპუბლიკურ მაჩვენებლებს. 1985 წელს რესპუბლიკაში გაწყდომის პროცენტი შეადგინა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 1 პროცენტს, ხოლო ოლქში — 2,7 პროცენტს, შესაბამისად — ღორისა — 2,7 პროცენტს და 5,1 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 3,3 და 8,4 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმების შეუსრულებლობა განაპირობებს თვითღირებულების გაძვირებას. ასე, მაგალითად, 1985 წელს წინა წელთან შედარებით ოლქის კოლმეურნეობებმა 18,8 ტონით ნაკლები მატყლი აწარმოეს, ამასთან 1 ტონის თვითღირებულება გაძვირეს 1046,2 მანეთით. 1983 წელთან შედარებით 1985 წელს მარცვლეულის წარმოება შემცირდა 23,7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება კი გაიზარდა 32,8 პროცენტით; ანალოგიურად ხილის წარმოება შემცირდა 21,3 პროცენტით, მაგრამ თვითღირებულება გაიზარდა 32,9 პროცენტით.

აღსანიშნავია ის, რომ ერთნაირ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მეურნეობები განსხვავებული ეკონომიკური შედეგებით ამთავრებენ სამეურნეო წელს.

მაგალითად, ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში 1985 წელს ერთი ტონა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატების თვითღირებულებამ მიაღწია 2.580 მანეთი, ამავე რაიონის საბჭოთა მეურნეობებში კი იგივე მაჩვენებელი შეადგენს 7193,9 მანეთს. ანალოგიური მდგომარეობაა ცხინვალის რაიონშიც, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 4572,8 მანეთს და 8468,1 მანეთს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივი მეურნეობები წარმოების გეგმების შეუსრულებლობის გამო სრულდ ვერ ითვისებენ დაწესებულ ფასდანამატებს. თუ 1984 წელს ზარალიანმა და მცირერენტაბელურმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ფასდანამატების სახით მიიღეს 8.205 ათასი მანეთი, 1985 წელს მიღებული იყო მხოლოდ 5.325 ათასი მანეთი.

სახელმწიფოს ფინანსური დახმარების არასრულყოფილად გამოყენების შედეგი ის, რომ ავტონომიური ოლქის მეურნეობების რენტაბელობის დონე აღ აღემატება 6,4 პროცენტს, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდით და არამწარმოებლური ხარჯების შემცირებით, საგეგმო თვითღირებულების შენარჩუნების პირობებში, რენტაბელობის დონე არ უნდა იყოს 15-20 პროცენტზე ნაკლები.

სერიოზული პრობლემებია რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის განვითარებაში. მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, დიდია პირუტყვის გაწყდომა და იძულებითი დაკვლა. სულ ამ გზით მიღებული ზარალი 20 მილიონ მანეთს აღემატება.

საზოგადოებრივ მეურნეობებს სერიოზული მუშაობა მოელით წველადობის გადიდებისათვის. მარტო რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში 26 ათას ძროხას, ანუ მთელი რაიდენობის 34,7 პროცენტს 1985 წელს ხბო არ მოუცია, სამაგიეროდ მათი შენახვის არამწარმოებლური ხარჯების დასაფარავად გაღებულ იქნა 8,8 მილიონი მანეთი. საზოგადოებრივ მეურნეობათა 19 პროცენტის საშუალო წველადობა 1000 კილოგრამს არ აღემატება. უფრო მძიმე მდგომარეობაა ამბროლაურის, გეგეჭკორის, დუშეთის, ჩოხატაურის, ხულის, შუახევის, ქედის, ყვარლის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. სწორედ ამის მიზეზით საბჭოთა მეურნეობებმა 10,8 ათასი ტონით ნაკლები რძე აწარმოეს გეგმასთან შედარებით.

საზოგადოებრივ მეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილში მცირეა პირუტყვის სადღეღამისო წონამატება. ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა ამბროლაურის, ჩოხატაურის, საჩხერის, თერჯოლის და ვანის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მარტო 1985 წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფო გეგმის შესრულება დაკლეს 14,3 ათასი ტონა ხორცი.

მეტად დამაფიქრებელია ის, რომ თიანეთის, ბორჯომის, საგარეჯოსა და ზოგიერთი სხვა რაონის მეტწილ მეურნეობებში ფაქტობრივად არ იზრდება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მეათე ხუთწლედთან შედარებით შემცირების ტენდენცია ახასიათებს ფურაჟების მოთხოვნილებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის მომსახურების სფეროს განვითარების დროს, ამასთან გაითვალისწინონ სბავშვო საქონლის წარმოების გაფართოება, ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესება, აგრეთვე განახორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა არ დაუშვან ბავშვებისათვის იაფი და ხარისხიანი საქონლის გამოშვების შემცირება.

ხელი შეუწყონ ოჯახისა და ქორწინების საკითხებზე, ოჯახის განმტკიცებაში ყოფა-ცხოვრების მოგვარებასა და შვილების აღზრდაში მოქალაქეებისათვის ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვაგვარი დახმარების გაწევის ორგანიზაციას.

ლატვიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ქალთა საბჭოებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წინადადება მიეცეთ:

გაზარდონ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ შეუქმნან ქალებს ხელსაყრელი პირობები შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასთან დედობის შეხამებისათვის, არასრული სამუშაო დღის რეჟიმებით, ცვალებადი გრაფიკით, აგრეთვე შინ მუშაობისათვის. განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა განავითარონ ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახეობის ნომსახურების ობიექტების, ქსელი წარმოებაში, განსაკუთრებით საწარმოებსა და ორგანიზაციებში, სადაც უპირატესად ქალები არიან დასაქმებული, უფრო ფართოდ დანერგონ ოჯახური შრომის შემსუბუქებელი მომსახურების სახეობანი.

გააქტიურონ შრომითი კოლექტივების მონაწილეობა ინსპექტირებების შექმნაში, რომლებიც ხელს უწყობენ ოჯახის განმტკიცებას და ბავშვების აღზრდის გაუმჯობესებას, ამ პირებისადმი მომთხოვნელობის გადიდებასა, რომლებიც არ ასრულებენ მშობლების მოვალეობებს;

უზრუნველყონ კულტურისა და სპორტის დაწესებულებათა ბაზის ეფექტიანობის გადიდება, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება, ხელი შეუწყონ თვითმოქმედი ოჯახური კლუბების, სახელოსნოების, მოყვარულთა გაერთიანებების ორგანიზაციას, ამ მიზნებისათვის სათავსების გამოყოფას და საჭირო მოწყობილობით მათს აღჭურვას, ამ მუშაობის ორგანიზატორთა კადრებით დაკომპლექტებას, ყოველ მხრივ განავითარონ და მხარი დაუჭირონ მოსახლეობის ინიციატივასა და თვითმოქმედებას საცხოვრებელ ადგილას სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობაში;

გააქტიურონ მუშაობა ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების დანერგვისათვის, საზოგადოებრივი დღესასწაულების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების მოწყობისათვის, ოჯახების ერთობლივი დასვენების ორგანიზაციისათვის, შრომითი დისციპლინისა და ადმინისტრაციული ეფექტიანობის ამაღლებისა და უფროსი თანამდებობის პატივისცემის, ახალგაზრდობის აღზრდისათვის;

გააძლიერონ მუშაობა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის, არეული ოჯახების გამოვლენისათვის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გადიდებისათვის, სამართალდაცვითი ორგანოების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, არასრულწლოვანთა საქმეების, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის სრულყოფისათვის.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიას მიეთითა, რომ უფრო თანმიმდევრულად განახორციელონ ჩაკლული რეფორმით გათვალისწინებული ამოცანები მოზარდ თაობაზე აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების, ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების, ამ მიზნით ოჯახთან სკოლის უერთიერთობის განმტკიცების, მშობელთა კომიტეტების, მშობელთა პედაგოგიური საყოველთაო სწავლების სისტემის ეფექტიანობის გადიდების დარგში. სრულყონ სამართლებრივი ცოდნის, ოჯახური ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიური საფუძვლების სწავლების ხარისხი.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცათ განახორციელონ ღონისძიებან

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

უმაღლესი სკოლის მუშაკთა ... ტერ კრებაზე განხილულ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიფიკაციის გზები სკკ XXVII ... ...

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

„ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ“

ᲕᲔᲩᲔᲠᲜᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲕᲐ
ВЕЧЕРНЯЯ МОСКВА

ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ „ვეჩერნაია მოსკვა“ კორესპონდენცია და მაშინვე გამახსენდა, რომ ომამდე მოსკოვში იყო კარგი, თბილისურისმაგვარი მაღაზია, სადაც იყიდებოდა გაზიანი წყალი. სხვადასხვაგვარი სიროფით. იგი 1939 წლის სექტემბერში გახსნა საბჭოთა რაიკვებვაჭრობამ გორკის ქუჩაზე, სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის მახლობლად და ცოტა არ იყოს უჩვეულო სახელწოდება ჰქონდა — „მაღაზია-ლაბორატორია“.

დახლებზე იდგა მაღალი მინის დოქები სხვადასხვა დასახელების სიროფებით, რომლებსაც ამზადებდნენ იქვე, სამზარეულო-ლაბორატორიაში ბალახებისაგან, ბოსტნეულის, ხილის, კენკრის, ყავის, კაკაოსა და ნაღებისაგან. მერე რა სიროფები იყო! ერთი მეორეზე უკეთესი — ალუბლის, ჟოლოს, ხეხდროს, შავი მოცხარის, ტომატის, ყავის, კრემ-ბრიულე, ნაღების, კაკაო-შუა... მათ ისე ამზადებდნენ, რომ უნარჩუნებდნენ ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის დიდად ვიტამინებს, ფერსა და სურნელს. სიროფებს, ყიდიდნენ არა მარტო გაზიანი წყლით, არამედ ცხელი ან ცივი რძითაც.

მე და ბევრი ჩემი თანატოლი ომ არემარეში მცხოვრები ყმაწვილები ეზოში ფეზბურთის ან ფრენბურთის თამაშის შემდეგ გავრბოდით ხოლმე ამ მაღაზიაში გემრიელი და იაფი წყლის დასალევად.

სამწუხაროდ, არ ვიცი, რა ბედი ეწია ამ მაღაზიას. როცა ომის შემდეგ მოსკოვში დავბრუნდი, აღარ დამხვდა.

ვფიქრობ, ასეთი მაღაზია უნდა აღადგინონ, შესაძლოა — ქართველი სპეციალისტების დახმარებით. ახლა სამე მოსკოვის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ხელმძღვანელებზეა.

Ა. ᲛᲘᲚᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘ,
ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ.

• • •

ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲠᲑᲠᲘᲜᲘ საქმეებზე ხშირად მიხდებოდა თბილისში ჩასვლა. რუსთაველის პროსპექტზე გავლისას ვერც მე, ვერც ჩემი ამხანაგები ვერ ვუძლებდით ცდუნებას რომ არ შევსულიყავით და არ დაგვეღია შესანშნავი ლაღიძის წყალი.

ვფიქრობ, რომ მრავალი ადამიანის აზრს გამოვთქვამ: უნდა მოვიწვიოთ „თბილისის წყლები“ მოსკოვში.

Ე. ᲘᲣᲠᲘᲔᲕᲘ.

• • •

ᲝᲠᲨᲐᲠ, გასული წლის 18 ნოემბერს და მიმდინარე წლის 20 თებერვალს „ვეჩერნაია მოსკვა“ წერდა საქართველოს დედაქალაქში „უალკოჰოლო სასმელებით — „ლაღიძის წყლებით“ ვაჭრობის ორგანიზაციის საგუნლისხმო გამოცდილებაზე. რედაქციაში მოსული წერილები, რომელთაგან ორი დღეს დავბეჭდეთ, მოწმობს ჩვენი მკითხველების ინტერესს ამ პუბლიკაციებისადმი.

რა თქმა უნდა, ინტერესი შემთხვევითი არ არის. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ საქართველოს უალკოჰოლო მრეწველობის ფუძემდებლის ლაღიძის წყლების რეკლამა მათ მოკლედ, და კონკრეტულად წარმოგვიდგენდა: „მე ვლიხისა და ლუდის კონკურენტი ვარ!“. ამ სიტყვების სამართლიანობაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია შევიდეთ რუსთაველის პროსპექტზე ან ქალაქის რესტავრირებულ ნაწილში ახლახან გახსნილ ასეთსავე მაღაზია „თბილისის წყლებში“. დიდიც და პატარაც მოდის აქ, რათა დალიოს შესანიშნავი სიროფიანი „წყალი და გასინჯოს ცხელ-ცივი ხაჭაპური, რომელსაც თითქმის მომხმარებელთა თვალწინ აცხობენ. მთელი ეს სიამოვნება სულ 50-60 კაპიკი ჯდება.

„თბილისის წყლები“ მხოლოდ „სახელდახელო“ კაფე როდია. აქ არავის აჩქარებენ და შეგიძლიათ ერთხანს უსხდეთ მაგიდას, ისაუბროთ, დაისვენოთ. გასაკუთრებით მიმზიდველია ეს ადგილები ყმაწვილებისა და ახალგაზრდებისათვის.

როგორ მოეკიდნენ საზოგადოებრივი კვების მთავარი სამმართველოსა და მთავარვაჭრობის ხელმძღვანელები „ვეჩერნაია მოსკვას“ გამოსვლებს, ქართველი კოლეგების დამცდილბას? რედაქციამ მიიღო საზოგადოებრივი კვების მთავარი სამმართველოს უფროსის ვ. როდიჩევის წერილი.

„მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კვების მთავარმა სამმართველომ, — ნათქვამია წერილში, — ყურადღებით განიხილა გაზეთის წინადადება მოსკოვში „თბილისური წყლების“ სარეალიზაციო კუთხის შექმნის შესახებ“. წერილში აგრეთვე გვაცნობებენ, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება პატარა სპეციალიზებული საწარმოების ქსელის გაფართოებისათვის, დასკვნა კი ასეთია: „საზოგადოებრივი კვების მთავარ სამმართველოს შესაძლებლად მიაჩნია კვების მრეწველობის მიერ მოწოდებული სიროფების გამოყენებით ქალაქის მთელ რიგ კაფეებში ძმა გამაგრილებელი სასმელების გაყიდვის ორგანიზაცია“.

წერილის დასაწყისი — „ყურადღებით განიხილა“ და მისი დასასრული — „შესაძლებლად მიაჩნია... ორგანიზაცია“ ერთგვარ ოპტიმიზმს გვინერგავს. მაგრამ ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება, თუ კონკრეტულად რა იმალება ამ ბუნდოვანი, არაფრისმთქმელი ფრაზების მიღმა. მოდით, სიტყვებით კი არა, საქმეებით ვიმსჯელოთ. ისევ გვრჩება, ყველა შევახსენოთ გაზეთის წინადადება, რომელსაც მხარს უჭერს ბევრი ჩვენი მკითხველი: „თბილისური წყლების“ კუთხე სასურველი იქნებ ჩვენ ქალაქში.

რაც შეეხება ამ საქმის ეკონომიკურ და სხვა საფუძვლებს, აქ პირველი სიტყვა დაგუთმოთ სპეციალისტებს (მოხარული ვიქნებით, თუ მას გაზეთის ფურცლებზე გამოთქვამენ) — საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის მუშაკებს. სხვათა შორის, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის მთავარ სამმართველოს რედაქციის წერილობითი შეხსენების მიუხედავად დღემდე არ შეუწუხებია თავი პასუხის გასაცემად.

„ᲕᲔᲩᲔᲠᲜᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲕᲐ“. 16-V. 1986 Წ.

ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ

ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲜᲘᲠᲝ ᲠᲘᲒᲘᲗᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. — ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲣᲠᲘᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲢᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲘᲣᲠᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘ